N72

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ხელშეკრულება №72

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „ 19“ ოქტომბერი 2011 წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ხელშეკრულება (შემდგომში - „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებების, ასევე სრული დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნება;

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში - „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრი ნოდარ ჩხარტიშვილის სახით
ერთის მხრივ ——————(შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)—————— (შემდგომში - „შემსყიდველი“)
შპს „ორგსერვისი“, წარმოდგენილი დირექტორის ხვიჩა ნემსაძის სახით
და მეორეს მხრივ ——————(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)—————— (შემდგომში - „მიმწოდებელი“) შორის

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: **ელემენტის (შესყიდვის ობიექტის დასახელება ,,აკუმულატორები, პირველადი ელემენტები და პირველადი ბატარეები’’’, კოდი - 31400000) შეძენა** (გამარტივებული შესყიდვის ფორმით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის შესაბამისად).

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. *მისაწოდებელი საქონლის* საერთო ღირებულება შეადგენს 4.60 (ოთხი ლარი და სამოცი თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით;

მინისტრი ——————— დირექტორი ———————

4.2. *შესასყიდი საქონლის* ერთეული ფასი შეადგენს:

1. 1 (ერთი) ცალი ელემენტის (DURACELLAA-LR6 1.5V Alkaline, შესყიდვის ობიექტის დასახელება „პირველადი ელემენტები', კოდი – 31410000) ღირებულებაა - 1. 15 (ერთი ლარი და თხუთმეტი თეთრი) ლარი;

4.3. *შესასყიდი საქონლის* რაოდენობა:

1. 4(ოთხი) ცალი ელემენტი;

4.4. *საქონელი მიწოდებული* იქნება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N28.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გადასცეს ხარისხიანი საქონელი;

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გადასცეს წინარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით აღნიშნული საქონელი 2011 წლის 29 ოქტომბრამდე;

5.3. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის ღირებულება;

5.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე;

5.5. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე;

5.6. მიმწდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე;

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

საქონელი გადაცემულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებისას;

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. მიმწოდებლის მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს „მეგი ქაჯაიასათვის „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის კოორდინატორის ფუნქციების დაკისრების შესახებ" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრის 2010 წლის 30 დეკემბრის N01/105 ბრძანების საფუძველზე დანიშნული შესყიდვების კოორდინატორი: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს საფინანსო და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი მეგი ქაჯაია

8. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მოწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოფს დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლას;

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში);

მინისტრი _____ დირექტორი _____

9.2. ანგარიშსწორება მოხდება საქონლის მიღებიდან და შესაბამისი „მიღება-ჩაბარების აქტის“ გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 საბანკო დღის განმავლობაში;

9.3. ანგარისშწორების ფორმაა უნაღდო. გადარიცხვა მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით.

10. ფასები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს;

10.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შეცვლის, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის;

10.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 1 %-ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისთვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას;

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და ა.შ.;

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ

მინისტრი _____ დირექტორი _____

შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1. „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1 %-ის ოდენობით;

14.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით;

14.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

15.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას გალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე;

15.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

15.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან;

15.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი, არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი ურთიერთობა და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ;

16.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხებზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. სხვა პირობები

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან, კერძოდ, 2011 წლის 19 ოქტომბრიდან და მოქმედებს 2011 წლის 04 ნოემბრამდე;

17.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ავთენტური ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლის თითო პირი რჩება მხარეებს.

მინისტრი _____ დირექტორი _____

„შემსყიდველი“
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
ეკონომიკის სამინისტრო
მინისტრი
ნოდარ ჩხარტიშვილი

(ხელმოწერა)

ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N42
ს/კ 249 267 172
სს „თი-ბი-სი ბანკის“ საბურთალოს ფილიალი
ბანკის კოდი: **TBC BGE22**
ა/ა 301 340 801 000 04
ტელეფ/ფაქსი: 39 41 13

„მიმწოდებელი“
შპს „ორგსერვისი“ -
მენეჯერი
ნინო დიხამინჯია

(ხელმოწერა)

ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N28
ს/კ: 212 693 851
სს თი-ბი-სი ბანკი“ ქუთაისის ფილიალი
ბანკის კოდი: **TBC BGE22**
ა/ა **GE32TB0300000030467356**
ტელეფ/ფაქსი: (+995 32) 39 93 78
E-mail: orgservis@mail.ru, orgservisge@yahoo.com

მინისტრი _____ დირექტორი _____